ქ.თბილისი 14 აგვისტო 2018 წელი

ტენდერი

კომპანია "ფრეგო" წარმატებით ახორციელებს საწვავის იმპორტს საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან. კომპანია „ფრეგო"-ს მიზანია: შექმნას საქართველოს ბაზარზე მძლავრი ქსელი, რომელიც მოწინავე პოზიციებს დაიმკვიდრებს მომხმარებლის მსყიდველობით გადაწყვეტილებაში, რაც განპირობებული იქნება ფასის, ხარისხისა და მომსახურების უპირატესობით კონკურენტებთან. ორაგნიზაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.frego.ge

- **კომპანია „ფრეგო" აცხადებს კომპანიის თანამშრომლებისთვის სამედიცინო დაზღვევის ტენდერს**

ტენდერის ფარგლებში შეირჩევა საუკეთესო ფასის და მომსახურების პირობების წარმომდგენი ერთი კომპანია, რომელთანაც გაფორმდება ხელშეკრულება.

სატენდერო მოთხოვნები:

ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება

თანამშრომლების რაოდენობა: 100
თანამშრომელთა საშუალო ასაკი: 33
თბილისში დასაქმებული: 40 თანამშრომელი
რეგიონში დასაქმებული: 60 თანამშრომელი
გთხოვთ შემოგვთავაზოთ სამედიცინო დაზღვევა 30 და 50 ლარიანი, მათი შესაყვისი საოჯახო სამედიცინო დაზღვევა, ასევე დაზღვევა ტოპ მენეჯმენტისთვის (ოჯახური სამ.დაზღვევის გათვალისწინებით).

ტენდერი ჩატარდება ორ ეტაპად:

- პირველ ეტაპზე, სადაზღვევო კომპანიების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების საფუძველზე შეირჩევა რამდენიმე საუკეთესო შემოთავაზების წარმომდგენი კომპანია.
- მეორე ეტაპზე შერჩეულ კომპანიებთან ჩატარდება დამატებითი მოლაპარაკებები და მოხდება გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა;

სატენდერო შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის დოკუმენტაციას:

- სატენდერო წინადადებას (შემოთავაზებული სადაზღვევო პაკეტები ფასებით, მომსახურების აღწერილობა, პირობები და პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულების ჩამონათვალი **ქართულ ენაზე**, ელექტრონული ფორმით, ჩვენი კომპანიის საკონტაქტო პირის ელ. ფოსტაზე გამოგზავნილი. (სადაზღვევო პაკეტები **Excel-ის ფორმატში)**;
- მიმდინარე კორპორატიული კლიენტების ჩამონათვალი;
- იურიდიული ფორმა და სრული დასახელება; ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი; საიდენტიფიკაციო კოდი; იურიდიული და ფაქტიური მისამართი; მომსახურე ბანკის დასახელება; ბანკის კოდი; ანგარიშის ნომერი: საკონტაქტო პირის: ტელეფონის ნომერი; ელ-ფოსტის მისამართი.

- **ტენდერის ჩაბარების პირობები:**

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ჩვენი კომპანიის საკონტაქტო პირის ელ. ფოსტაზე გამოგზავნილი, **არაუგვიანეს 2018 წლის 18 აგვისტოსი 16:00 საათისა** შემდეგ ელ.ფოსტაზე: tamar.kakabadze@frego.ge.

დამატებითი ინფორმაციის, ტენდერის პროცედურების, ვადების და მოთხოვნების შესახებ დაუკავშირდით თამარ კაკაბაძეს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: tamar.kakabadze@frego.ge ან ტელეფონზე 299 99 10 (103) / 574900440.

Tamar Kakabadze

Head Of Administration Department, FREGO LLC

Phone: +995 32 2999910 (103)
Mobile: +995 574 900 440
Email: tamar.kakabadze@frego.ge **Website:** www.frego.ge
Address: 145, A. Beliashvili Str. 0159 Tbilisi, Georgia

-